საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/991
16/02/2023

991-21-2-202302161726

შპს „არ ემ ჯი აურამაინს“
მის: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალექსიძის ქ., N1
ელ. ფოსტა: info@richmetalsgroup.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №292 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ³ მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ყველა ინფრასტრუქტურული ობიექტის (მათ შორის ნიადაგის და ფუჭი ქანების დასაწყობების ტერიტორიის) GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული ჩამდინარე წყლების წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების სამრეცხაოების სალექარებიდან რეზერვუარებამდე ჩამდინარე წყლების მიყვანის ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ (მილების სიგრძის და დიამეტრის მითითებით);
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულია არსებული ფუჭი ქანების სანაყაროსა და ნიადაგის დასაწყობების ტერიტორიის გაფართოება, თუმცა ნიადაგის და ქანების განთავსების ეტაპზე ტრანსპორტირებასთან, ავტოტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებული საკითხები და შესაბამისი ზემოქმედება სკრინინგის განცხადებაში განხილული არ არის;
- სკრინინგის განცხადებაში, ქანების სანაყაროს ფართობი მოცემულია **მ³**-ში შესაბამისად კორექტირებას საჭიროებს აღნიშნული განზომილება;

- სკრინინგის განცხადების თანახმად, არსებული ნიადაგის საწყობის ფართობია 13 471 მ^2, გაფართოების შემდეგ ნიადაგის საწყობის ფართობი იქნება 14911 მ^2, ხოლო გარემოსდაცვით გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი Shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ ნიადაგის საწყობის ფართობი შეადგენს 16 274 მ^2-ს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში უფრო ნათლად უნდა აისახოს ინფორმაცია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედებისა და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების შესახებ, ამასთან საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს სათანადო პრევენციული ღონისძიებები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ნახაზებიდან არ დგინდება არსებული და დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბი, კერძოდ ნახაზებში არ არის მითითებული არსებული და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ტერიტორიები;
- სკრინინგის განცხადებაში ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების ნაწილში ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია გამოსაყენებელი ავტოტრანსპორტისა და ტექნიკის და მათი მუშაობის შედეგად მოსალოდნელი ემისიების შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სიტუაციურ რუკაზე დატანით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო